№ 213

ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი 1895

ბაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

ივერია

№ 213

ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ნაფიც ვექილის თანაშემწე
გიორგი ბეჟანის ძე
გვაჟავა
ვლებულობ საწარმოებლად სასამართლო საქმეებს, **სისხლის სამართლისას**, განსაკუთრებით.
ადრესი: გოლოვინის პროსპექტი თ. მუხრან-ბატონის სახლი.
ჩემი ნახვა შეიძლება:
დილით 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
(5—6.—2)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—5)

კაბინეტი კბილის ექიმთა
ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

ე ქ ი მ ი
ი. ს. ელიაშვილი
გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზედ, პოპოვის სახლებში, № 29, სასტუმრო „იტალიის“ პირდაპირ. ავადმყოფებს მიიღებს კვლავინდებურად.
(10—8).

ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოჰკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

ახალი ამბავი

*** გორიდგან და სხვა ქალაქებიდგანაც გვატყობინებენ, რომ ემზადებიან ღირსეულად მიეგებნენ დიდად პატივცემულის მხცოვანის პოეტის რაფაელ ერისთავის საუბილეო დღეს და თანაც გვთხოვენ ვაცნობოთ, როგორ აპირებენ დღესასწაულობის გარდახდას. კარგი იქნებოდა მანდიდგან რაიმე განკარგულება მოგვხდინათ პროვინციებისათვისაო, იწერებიან ყველა მხრიდგან, თუ როგორ შევადგინოთ საუბილეო კომიტეტებიო.

ამაზედ ჩვენ ვაცნობებთ, რომ ტფილისიდგან არავითარი განკარგულება ამის შესახებ არ გაეგზავნებათ პროვინციებს და ამიტომ ვურჩევთ, თითონვე იზრუნონ და შეადგინონ კომიტეტები, რომელნიც დაადგენენ, თუ როგორ სცენ პატივი იუბილარს.

*** დღეს, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში, საღამოს 8 საათზედ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ კრება ექნებათ თ. რაფ. ერისთავის საუბილეო დღესასწაულის გამო.

*** ტფილისის დურგალ-ხელოსანთა რიგიან კაცებისაგან საყვედურები ისმის მასზედ, რომ ამას წინად დურგალთა უსტაბაშად არჩეული ცნობილი პირი დავით გიგაური ასე მალე გამოსცვალეს ზოგიერთ პირებმაო!

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ეს პირები რა საფუძვლით დაირაზმნენ ხალხისაგან ახლად არჩეულ უსტაბაშის დავით გიგაურის წინაალმდეგ და ასე მალე რად გადააყენეს თავისს თანამდებობიდგან?

*** ფინანსთა სამინისტროს მინისტრთა კომიტეტში პროექტი შეაქვს, რომ 1896 წლის 1 იანვრიდგან კავკასიისა და ყუბის ოლქის ქალაქებში არსებული საკომლო გარდასახადი მოსპობილ იქმნას და ამ ადგილებში ქალაქის მცხოვრებთა უძრავ ქონებას სახელმწიფო გარდასახადი დაედოსო, იწერება გაზეთი «ნოვოე ვრემია».

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი შემდეგის სათაურით: „საყმაწვილო და სახალხო წიგნები, № 1. ივანენამ რა ჰქმნა. მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა. მეორე, სურათებიანი გამოცემა“. წიგნის ფასი ორი შაურია. წიგნის ყდაზედ შემდეგი ამოვიკითხეთ: «ამ წლის დამლევამდე დაიბეჭდება: ა) თავდადებულნი ქართველნი, წიგნი პირველი. მომავალს 1896 წლის განმავლობაში დაიბეჭდება: ბ) თავდადებულნი ქართველნი, წიგნი მეორე; გ) აკიდო, ანუ საყმაწვილო და სახალხო მოთხრობანი; დ) მეგობარნი და მტერნი მოსავლისა, ანუ სასარგებლო და მავნე ცხოველები; ე) თამარ-მეფე, ისტორიული მოთხრობა“. ყოველი წიგნი იქნება დასურათებული რვა სურათით და ეღირება მხოლოდ ორი შაური.

*** კვირას, 8 ამ თვეს, ქართულს სცენაზედ წარმოდგენილ იქნება დრამა „იაკობელები“. დრამატიულს კომიტეტს შეუკვეთნია პიესის შესაფერი ტანისამოსი, როგორც აქტიორებისათვის, ისე მოთამაშე ქალთათვის. ტანისამოსს ამზადებს საგანგებოდ მოწვეული ფრანგი ქალი. ეს საუცხოვო ტანისამოსი, როგორც პიესა მოითხოვს, ძველის დროისა იქნება. „რიკრიკებს“ ფრანგი ქალი ერთს ხელოვნურად დახატულ ჟურნალიდამ იღებს. როგორც შევიტყეთ, დრამატიულ საზოგადოებას ბლომა ფული დაეხარჯება ამ საქმისათვის.

*** დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად: „ალა-მაჰმად-ხანისა და მეფე ერეკლეს ომი და ამ ომში იმერლების ღალატი მართალია თუ არა“? შედგენილი ზ. ჭ—ისა. როგორც მკითხველს ეხსომება, ეს წერილები ამ წლის „ივერიის“ ნომრებში იყო დაბეჭდილი. ცალკე წიგნად გამოუცია ბ-ნ ანტონ გოგიაშვილს.

წიგნი დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 40 გვერდს და ღირს ორი შაური.

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს წესდების ახლად შემუშავებულის პროექტის თანახმად ყველა ხარჯი მომავალის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოსი მთელის კავკასიის საერობო ხარჯს მიემატება („ნოვ. ობოზ.“).

*** 7 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საქმე გაგოევისა და სხვ., რომელთაც სპარსეთის ფოსტის გაძარცვა ჰბრალდებათო, იწერება გაზ. „ნოვ. ობ.“.

*** ს. ახმეტიდგან ატყობინებენ გაზ. „ტიფ. ფურ.“-ს, რომ იქსამეურნეო სამკურნალო თავშესაფარი გაუხსნიათ ამ დღეებში.

*** ერთს სომხურს გაზეთს ატყობინებენ, რომ ავსტრიისა და საფრანგეთის გემები ეს მეცხრე დღეა, რაც აღარ მოსულან ბათუმშიო. ამბობენ, რომ გემები ტრაპიზონში შეაყენეს და აღარ უშვებენო. არ უშვებენ აგრეთვე არც ერთს მგზავრს, დეპეშების პასუხიც აღარ მოდის იქიდამაო.

მეორე სომხურს გაზეთს ატყობინებენ, რომ მიმოსვლა ტრაპიზონსა, ბათუმსა და სტამბოლს შუა შეყენებულიაო. სტამბოლიდამ ტრაპიზონზედ ბათუმში მომსვლელმა გემებმა დაიგვიანეს. სტამბოლიდამ ტფილისში გამოგზავნილმა წერილმა თორმეტი დღით დაიგვიანა. ერთის წერილიდამ, რომელიც ტფილის'ში 20 სექტემბერს მიიღეს, სჩანს, რომ მრავალმა სავაჭრო ფირმებმა შესწყვიტეს მოქმედება.

*** ტფილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია 8 ოქტომბერს თელავსა და სიღნაღში მიდის; ამ სესსიაში იქნებიან თავმჯდომარის ამხანაგი ე. ფ. ბურგარტი, სასამართლოს წევრი ი. ო. პარჩევსკი, მდივნის თანაშემწენი გ. გ. ბარუტჩევი და ა. ა. მაქსიმოვიჩი; სესსიაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ბრალმდებელის ამხანაგი ა. ა. კრასოვსკი. სესსია დაჰყოფს თელავში 10-დგან 16 ოქტომბრამდე ზაქათალაში 19-დგან 21-მდე და სიღნაღში 24-დგან 30 ოქტომბრამდე („ნოვ. ობოზ.“)

*** სექტემბრის განმავლობაში ბათუმის ნავთ-სადგურით გაუზიდავთ მანგანეზი: ბელგიაში—6200 ფუთი 1860 მანეთად ღირებული; ფოთის ნავთ-სადგურით იმავე თვეში გაუზი-

ფელეტონი

ჩრდილო-აღმოსავლეთ-საფრანგეთი და მისი მეურნეობა.

ხე და რკინა, როგორც საიარაღო მასალა.—უმთავრესი სამეურნეო იარაღები.—ერთ-ერთი მიზეზთაგანი ზოგიერთ იარაღების უბედობისა. — დომბალის გუთანი.—ხელის იარაღების წარმატება.—მუშა ხელი.

შემდეგი*)

უიარაღოდ არა საქმე არა კეთდება-რა. მაგრამ საქმე იმდენად უფრო სისწრაფით, სუფთად და ფაქიზად კეთდება, რამდენადაც თვით იარაღის თვისება ამის ნებას იძლევა. ხის იარაღი, ცხადია, რკინის იარაღის ოდენობას ვერ გასწევს. რკინის თვისება აძლევს კაცს ნებას გააკეთოს მისგან მეტის-მეტად წმინდა და მასთან გამძლები იარაღები, რომლისთანაც ხისაგან გაკეთება შეუძლებელია. ამიტომ ხემ რკინას უნდა დაუთმოს ადგილი. ეგრეც მომხდარა. სამეურნეო იარაღების კეთებაში „ხის საუკუნეს“ თავისი დრო მოუჭამია და „რკინის საუკუნეს“ მისი ადგილი დაუჭერია. მთელი სამეურნეო იარაღი გუთნიდგან დაწყებული ფიწალ-ნიჩბამდის რკინისაა. მხოლოდ ხე იმდენად იხმარება, რამდენადაც მას უპირატესობა ეძლევა რკინაზედ. ეს არის მისი სიმსუბუქე. მაგალითად, ფიწლის, ნიჩბის და სხ. იარაღების ტარებათ ხე სჯობია რკინას. ტყავსა და კანაფსაც ხმარობენ იქ სადაც მათ ხესავით უპირატესობა ეძლევა რკინაზედ, როგორც, მაგალითად, ცხენისა მორთულობისათვის 2). ჰაპნისა და თოკის ადგილი ჯაჭვს დაუჭერია.

მარცვლის რიგიანად და დროზედ ჭჯეჯილებისათვის [illegible] შემდეგ დამწიფებამდის მის გალაღებისათვის მხოლოდ მიწის გადაბრუნება—მოხვნა და უბრალოდ გაპატივება არ არის საკმარისი. მოსავლის აწევა მიწის მოვლაალერსზედ არის დამოკიდებული. კარგად მომზადებულ ხნულისაგან უპირველესად მოითხოვება ღრმად მოხვნა, გორახ-ბელტების დაფხვნაგანადგურება და მავნე ბალახეულობის ფესვებისაგან გასუფთავება. ეს დედა-აზრი ხვნა-მთესველობისა კარგად ჰქონია შეგნებული და ამ პირობებზედვე ყოფილა მათი უმთავრესი ყურადღება მიქცეული. ამ პირობების აღმასრულებელ იარაღებათ პირველისათვის ითვლება გუთანი, მეორე და მესამისათვის—ფარცხი. რადგან ეს იარაღები ასეთ უმთავრეს საქმის აღმასრულებელნი ყოფილან, ამიტომ ისე სხვა არა სამეურნეო იარაღს არ გამოუვლია ის მრავალგვარი ცვლილებანი, როგორც ამათ. ორივეს ჰქონიათ თავ-თავისი ისტორია.

ყოფილა-რა გუთანი ასეთი უუძვირფასესი იარაღი მიწათ-მოქმედებაში, ყველა მეურნეობის გულ-შემატკივარი და ტეხნიკი ყოველთვის ცდილან მის ნამდვილის ტიპის შექმნისათვის, საიდგანაც აიხსნება მისი მრავალ-გვარობა. ზოგი გუთანი მხოლოდ აბრუნებს ბელტს, ზოგი აბრუნებს და იმავე დროს ლეწს, (ბელტს), ზოგი რთულია და უვლის თითო ავლა-ჩავლაზედ რამდენიმე კვალს და სხ. საზოგადოდ, ამგვარის გუთნების გამომგონელს, ცხადია, მხოლოდ გუთანი და მისი ასასრულებელი საქმე ჰქონია სახეში, მხოლოდ ვის სახმარებლადაც იქნებოდა ის გამოგონილი, იმათ ფიქრადაც არ მოსვლიათ.

გლეხი ახალ იარაღის შემოღებაში ძალიან ფრთხილია. მის რეალურ სარგებლობის მხრივ საგნის ზმანას ძნელად თუ რამე გამოეპაროს. იგი პრინციპი კონსერვატორია და ყოველს ახალს შემოღებას ეჭვით უცქერის. ბევრიც რომ ურჩიოთ, აჯეროთ ცარიელ სიტყვით, ის მაინც ურწმუნოა. და მინამ ურწმუნო თომასავით თვით ხელს არ შეახებს, საკუთარის თვალით არ დაინახავს სარწმუნო საგნის სარგებლობას, მანამ ის მას ხელს არ მოჰკიდებს, ესევე ეძცევა სამეურნეო იარაღებსაც. რთულს მანქანას, მომეტებულს ჩხაკა-ჩხუკს ძალიან ეჭვით უცქერის. გასაკვირ და საყურებელ და არა სარგებლიან და ოჯახში გამოსაყენებელ საგნად მიაჩნია ამგვარი მანქანები. ამიტომ მომეტებულ ნაწილს სამეურნეო (რთულს) იარაღებს ბედი არ ჰქონდათ გავრცელებულიყვნენ ხალხში.

მხოლოდ იმგვარი გამომგონებელი-კი, რომელსაც არ დავიწყებია ის ერთი უმთავრეს პირობათაგანი, რომელიც სხვებს გამოჰპარვიათ ყოფილა საფრანგეთის საყვარელი აგრონომი—მათე დომბალი (სცხოვრობდა ამ საუკუნის პირველ ნახევარში. ამასვე ეკუთვნის პირველი სამეურნეო სასწავლებლის დაარსება საფრანგეთში და სამეურნეო მეცნიერების დაწყებაც). ჰკუთვნებია-რა თვითონ მეურნე-დომბალი სულით და გულით იმ წოდებას, რომელიც თავისს სიცოცხლეს გუთნის ჰერაში ატარებს, სცოდნია-რა ამ წოდების ჭირ-ვარამი და გულის თქმა, აზრი

---

*) იხ. „ივერია“ № 158.

2) მაგრამ აქაც ცდილობენ ტყავის ნაწილები შეამცირონ, სადაც-კი შესაძლებელია. მაგალ. არ არის დიდი ხანი, რაც შემოუღიათ ცხენის რკინის საყელოები (უღელი — ХОМУТЪ), რომელიც თავისის ხერხიანობით თუ არ სჯარბობს ტყავის სიყელოს, არაფრით არ ჩამოუვარდება მას, რაც ხელს უწყობს უკანასკნელის გაზშირებას.

დავთ: ინგლისს—615,300 ფუთი ღირებული 184,590 მანეთად, ჰოლანდიაში—539,400 ფ. 161,820 მანეთისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში—824,600 ფ. 247,380 მანეთისა.

წლის დასაწყისიდგან პირველ სექტემბრამდე გაიტანეს ბათუმით: ბელგიაში—77,500 ფ. 24,860 მანეთისა, გერმანიაში—178,100 ფ. 54,840 მან., ამერიკის შეერთებულ შტატებში—5000 ფ. 1500 მანეთისა; სულ ბათუმით—260,600 ფ. 81,200 მანეთისა. იმავე დროს ფოთით: ბელგიაში—28,200 ფუთი 8,460 მანეთისა, ინგლისში—2,628,050 ფუთი 788,415 მანეთისა, გერმანიაში—198,400 ფ. 59,520 მ., ჰოლანდიაში—2.405,900 ფ. 721,570 მ., ამერიკის შეერთებულ შტატებში—2.100.400 ფ. 630,120 მან. საფრანგეთში წელს მანგანეზი სრულიად არ მოუთხოვიათ.

ს. მოხე, (აჭარა): ამას წინად მთავრობამ გაგზავნა ტფილისის მაზრის უფროსი ლევან ჯანდიერი, ცხინვალის ბოქაული ელიზბარ გუგუშვილი და ყარაიაზის ბოქაული ტერგრიქურიანცი ყაჩაღების შესაპყრობად ახალციხის მაზრაში. ყაჩაღების ბრბოს, რომელსაც მეთაურობს ცნობილი ავაზაკი მავლუდ ბექირ ბაირაღტაროღლი, დიდი უბედურება და ზარალი მოჰქონდა მთელის ახალციხის მაზრისათვის. ეს ბრბო ძარცვავდა მკვიდრთა, ტყვეები მიჰყავდა და იმათ დასახსნელად დიდძალ ფულს ახდევინებდა პატრონებს. ახლა ეს ბრბო, რაკი შეუტყვია დასაჭერად დაგვდევენო, არდაგანისაკენ გაქცეულა. ვერც ერთი ავაზაკი ვერ შეიპყრეს. ჩვეულებისამებრ, ზამთრობით ყაჩაღები ოსმალეთს გავლენ და გაზაფხულის დამდეგს ისევ ჩვენს მხარეს ეწვევიან. არ ვიცით, რა გვეშველება, საუკეთესო მოხელეთა ცდამაც ვერა გააწყო-რა.

◆

კორესპონდენცია.

—

ქ. ქუთაისი. ქუთაისიდგან სამის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს წმიდათა არგვეთის მთავართა მოწამეთა დავით და კოსტანტინეს მონასტერი. ორშაბათს, 2 ოქტომბერს, ამ მონასტრის დღეობა იყო. ეს დღეობა შესანიშნავი იყო მით, რომ წმ. მოწამეთა უხრწნელი გვამნი ჩასვენებულ იქმნენ ახალ მშვენიერს ლუსკუმაში. ამ ლუსკუმისათვის იკრიბებოდა ფული ამ რამდენიმე წლის წინად დეკანოზ დავით ღამბაშიძის მეთაურობით. ლუსკუმა მშვენიერის ჩუქურთმებითაა შემკული, თავზედ დახატულია წმ. დავით და კოსტანტინე; თავში ხუცურის ასოებით წარწერილია წმიდათა ტროპარი და კონდაკი; გვერდზედ იქით-აქეთ ჩუქურთმით ამოჭრილია წმიდანების ხატები, შუაში ქართული ღერბი და თავზე წარწერილია იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ნებართვით და ლოცვა-კურხევით და დეკ. დავით ღამბაშიძის მეცადინაობით შეძენილი ლუსკუმაა. დღესასწაულის წინა დღეს, 1 ოქტომბერს, წმიდათა გვამნი ჩასვენებულ იქმნა ლუსკუმაში. მეორე დღეს სწირა ყოვლად-სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსმა და დროებით იმერეთის ეპარქიის მმართველმა ბესარიონმა. თანამწირველნი იყვნენ ხირსის წინამძღვარი მისსიონერი მ. არხიმანდრიტი ლეონიდე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი დიმიტრი, დეკანოზი ცაგარეიშვილი და სხვანი. წირვაზედ დღის შესაფერი მაღალი გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა პატივცემულმა მ. არხიმანდრიტმა ლეონიდმა, რომელშიაც ნათლად დახატა წმიდათა დავით და კოსტანტინეს ღვაწლი და ხალხის მათდამი გულწრფელი სამსახური. და ბოლოს შესთხოვა წმიდათა ღვთივ შობილ მოწამეთა დავით და კოსტანტინეს, რათა იგინი მეოხ ეყვნენ ქართველის მეფის ბაგრატისა შვილთ, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომელმაც არა მცირედი იღვაწა მონასტრისათვის და ყოველთა შემამკობელთა და გამშვენიერებელთა მათთა. ხალხზედ დიდი გავლენა იქონია ამ სიტყვამ. მონასტერი და მისი მიდამო მლოცველებით სავსე იყო ქვემო და ზემო იმერეთიდგან. აქვე შეხვდებოდით მრავალს რუსს, სომეხსა და სხვა სჯულის ხალხს.

ამ დღის ამინდი კარგი იყო შუადღემდის, მხოლოდ ნაშუადღევს წვიმამ დაასხა და ხალხი გაფანტ-გამოფანტა. ამ დღისთვის ქუთაისსა და მოწამეთას შუა დანიშნული იყო ათი იქიდგან და აქედგან სახალხო მატარებელი, რომელშიაც ხალხის სიმრავლისა გამო ტევა აღარ იყო.

კ. გძელი.

◆

სამიწათ-მოქმედო კოლონია.

—

ამ რამდენისამე წლის წინად თავ. ერმილე ნაკაშიძემ შემოიტანა პროექტი, რათა სამიწათ-მოქმედო კოლონია დაეარსებიათ. მაგრამ პროექტი, როგორც ბევრი სხვა, ვერ განხორციელდა: ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც აშინებდა საინტელიგენტო კოლონიაში კომმუნის აჩრდილი.

მაგრამ პროექტის განხორციელებისათვის მნიშვნელობა აქვს როგორც საზოგადოების თანაგრძნობას ან გულ-გრილობას, ისე პროექტის ღირსებას ან ნაკლულევანებას!

უმთავრესი ნაკლულევანება საინტელიგენტო კოლონიისა არის ის, რომ ინტელიგენტს არ შეუძლია მძიმე შრომის ატანა. მას განუვითარებელი აქვს მუსკულები. მთელს სიცოცხლეში უვარჯიშნია მხოლოდ მისს გონებას,—და რომ იმუშაოს ფიზიკურად, ერთიანად უნდა გადაასხვაფეროს თავისი ბუნება. ამგვარი უცები გარდაცვლა თვისის ბუნებისა შეუძლიანთ მხოლოდ ზოგიერთებს! მაშასადამე, ინტელიგენტი ვერ მოიპოებს პირად ბედნიერებას სამიწათ-მოქმედო კოლონიაში, სადაც, უეჭველია, პირველი ალაგი ექმნება დაკავებული ფიზიკურ შრომას.

მაგრამ საზოგადოებისთვისაც დიდი მსხვერპლი იქნება ამგვარის კოლონიების დაარსება. თვითოეული კოლონია მოითხოვს სამოცს ინტელიგენტს მაინც, რადგან დამტკიცებულია, რომ მცირე გუნდი, შეერთებული რომელისამე საქმისათვის, ერთობ ადვილად იშლება. როდესაც ერთად მოქმედებს მხოლოდ ათი თუ თორმეტი კაცი, მაშინ შეუძლებელია წესდების დადგენა მათთვის. კანონი ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს იყრის ერთად ბევრი. პატარა გუნდში ზოგიერთები მოიწდომებენ, უთუოდ, ბატონობას, მბრძანებლობას და მოითხოვენ სხვათაგან მორჩილებას; ესნი ამას ითაკილებენ და დაიწყება შინაგანი განხეთქილება, რომელიც ბოლოს მოუღებს გუნდს; ეს ის მიზეზია, რომელიც ჰყოფს ჩვენს პატარა ოჯახებს წინაალმდეგ ეკონომიურ ინტერესებისა.

როდესაც ერთად მოქმედებს ბევრი, მაშინ-კი უფრო დამალულია, უფრო არა სჩანს თვითოეულის პირადობა, ძალადობა. რადგან თვით ინიციატორი მეტის თავმდაბლობით და პატივის-ცემით ეპყრობა საზოგადოებას. ამგვარ საზოგადოებაში ინიციატორი მბრძანებელი-კი არ არის, მრჩეველია, მჩაგვრელი-კი არა, ჭკუის-მასწავლებელია; პირიქით, ბატონი თვით საზოგადოებაა და, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ინიციატივა, იგი კანონის მდებლად ვერ შეიქმნება, თუ კანონი მიღებული, მოწონებული არ იქმნა თვით საზოგადოებისაგან. ასეთ საზოგადოებაში ისპობა ბატონ-ყმობა, უფროს უმცროსობა, არსდება ნამდვილი თანასწორობა უფლებათა. ყოველ ოჯახში არის ბატონობა, დიდ კრებებში კი—არა. აი ამიტომ არავინ თაკილობს დაემორჩილოს კანონს, როდესაც კი იგია შედეგი იმ დიდის კოლლექტიურის სხეულისა, რომლის პატარა ნაწილსაც შეადგენს თვითოეული ჩვენგანი.

მაშასადამე, რომ არ დაირღვეს კოლონია, საჭიროა შესდგებოდეს სამოცი წევრისაგან მაინც. და ამდენმა ინტელლიგენტმა რომ თავი დაანებოს ყველა სხვა საქმეს, გამოაკლდეს ჩვენს საზოგადოებას და დაისადგუროს ერთგან სადმე კოლონიად, ეს ხომ დიდად საგრძნობელი იქნება. მაგრამ სრულიადაც არ არის საჭირო, რომ კოლინია შესდგებოდეს უთუოდ ინტელიგენტთაგან. პირიქით, ბევრად უფრო სასარგებლო იქნებიან კოლონიისთვის გლეხები. კოლონიაში შესვლა იქნება გლეხისთვის გარდასვლა უარესი მდგომარეობიდგან უკეთესში, გაჭირვების შემცირება, ტვირთის შემსუბუქება, შემჩატება. ამიტომ იგი უფრო მაგრად ჩასჭიდებს ხელს კოლონიას, რა-კი ნახავს მის კეთილს ნაყოფს. გლეხი აჯობებს ინტელიგენტს, აგრეთვე თვით კოლონიის ეკონომიურ წარმატების საქმეში, რადგან იგი იმუშავებს უკეთ და უფრო ხანგრძლივ. ერთი სიტყვით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო არ იქნება არავისი ბუნების გადამახინჯება, წინააღმდეგობა; პირ-იქით, თავისუფლება ექნება მიცემული საქმის ბუნებრივ მიმდინარეობას.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ უფრო გამოსადეგი იქნებიან კოლონიისათვის ახალგაზდა გლეხები, ვიდრე ხნიერები. ამ უკანასკნელებს არ შეუძლიანთ უარ-ჰყონ ძველი რწმენა და ჩვეულება, ახალგაზდებისათვის-კი ეს ბევრად უფრო ადვილი იქნება.

ახლა ვიკითხოთ, როგორ უნდა მოეწყოს კოლონია?

კოლონიაში უნდა იყოს უთუოდ ერთი ან რამდენიმე აგრონომი, ამდენივე მასწავლებელი, ექიმი; უნდა იყვნენ აგრეთვე მჭედლები, კალატოზები, დურგლები, მეჩექმეები, შალისმქსოვლები და სხვ., რომ, რაც შეიძლება კოლონიას ცოტა ხარჯი დასჭირდეს ფულით: რაც მეტი საკუთარი საშუალება ექნება კოლონიას თავისს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, რაც უფრო ცოტა დასჭირდება საყიდელი, იმდენად უფრო კარგად წავა მისი საქმე. ამავე მიზეზის გამო კოლონიამ უნდა იყოლიოს ნახირი, ცხვრის ჯოგი და სხ. რასაც კოლონია მოიგებს ფულად, მისი უმეტესი ნაწილი შეიძლება მოხმარდეს მაშინ ახალის ადგილების შეძენას ან წარმოების გაუმჯობესებას და გადიდებას.

წარმოება უნდა იყოს საერთო, რადგან კოოპერაცია ერთობ ადიდებს მწარმოებელ ძალას. წარმოების შესახებ ყოველივე უნდა იქმნეს ხოლმე. გარდაწყვეტილი ამორჩეულ კაცებისაგან: ყველგან საჭიროა მმართ-

და მიზანი, სცოდნია-რა დაახლოვებით თვითონ პირადად მეხანიკა, შეუქნია მას გლეხ-მეურნესთვის ერთგვარი გუთანი, იმგვარი გუთანი, რომელზედაც გლეხს ეჭვიც არ შეჰპარვია, არ შეჰპარვია მისთვის, რომ გუთნის გეგმა მის გულიდგან იყო ამოღებული, მას ეკუთვნოდა; უნდოდა თვითონ მისი შექმნა, მაგრამ მათე დომბალმა დაასწრო. რა-კი ეს ასე ყოფილა მაშ დომბალის გუთნის გახშირება არ გაძნელდებოდა. მართლაც თავისის ხერხიანობით, მარტივობით, სიიაფითა და საქმის პირნათლად ასრულებისათვის დომბალის გუთანს მოუპოვებია სიყვარული გლეხმეურნისა და ამ ორმოც-და-ათ წელში ისე სისწრაფით გახშირებულა, რომ საუკუნოებით და მამა-პაპით გადმონაცემი იარაღი გეგონებათ; იგი საერო გამხდარა. ძნელად თუ აქაურმა მეურნემ დღეს იგი სხვა ახალგამოგონილ გუთანზედ შესცვალოს. ქონებით ბევრ გვარი გუთანი მოეპოვება დიდს და საშუალო მეურნეს ფერმაში, მაგრამ მუდმივს ხმარებაში-კი ისევ დომბალის გუთანია, მას ეკუთვნის უპირატესობა. იგი ძალიან მარტივი და უბრალოა. გუთნის ყელი და ტარები ხისაა, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს რკინაზედ დაუწყიათ ცვლა, საზოგადო ფორმა-კი დაუცავთ შეუცვლელად.

მეორე საყურადღებო იარაღად, როგორც ზემოდ ვსთქვით, ითვლება ფარცხი, რომელიც გარდა იმისა, რომ იხმარება მარცვალზედ მიწის წასაყრელად, სადაც სათესს მანქანას არ ხმარობენ, მისი დანიშნულებაა გორახების დალეწ-დამტვრევაც და მავნე ბალახეულობის ძირეულობისაგანაც განწმენდა. ამ სამივე საქმეს, რასაკვირველია, ერთსა და იმავე დროს ასრულებს. ფარცხები მომეტებულ ნაწილად რკინისებია და მრავალ-გვართ შეხვდებით ხისასაც, რომელსაც მხოლოდ შემაერთებელი ნაწილები აქვს ხისა, კბილები-კი, რომელნიც უფრო ცვეთაში არიან, რკინისაა. იმ შემოხვევაში, თუ ფარცხმა გორახებს ვერა დააკლო-რა, მის თანაშემწედ ითვლება—„სატკეპნელა“. სატკეპნელა წარმოადგენს ხის ტანს—მორგვს, სიგრძით 2 არშინ-ნახევრამდის, რომელიც ღერძის საშუალებით ტრიალებს. ეს იარაღიც ორგვარია რკინისა და ხისა და ასრულებს ორს საქმეს, ფარცხისაგან დაუთავებელს საქმეს და ხნულის პირსაც ანივლიებს, ოღრო-ჩოღროებს ასწორებს და ამოშვერილს ქვებს ჰფლავს. ეს უკანასკნელი ოპერაცია აუცილებელია, სადაც მთიბავ-სამკელი მანქანა იხმარება, რომლის ცელის პირი დედა-მიწიდგან თითქმის გოჯ-გოჯ ნახევარზედ დასცურავს. ეს იარაღი აუცილებლად მიაჩნიათ და ამიტომ ყოველ-გვარს ფერმაში შეხვდებით.

მცენარის ჯეროვანად გამოკვებისათვის არ არის საკმარისი, რომ მიწაში მისთვის საკმარისი საკვები მოიპოვებოდეს და მიწაც რიგიანად იყოს მომზადებული, არამედ საჭიროა, რომ მცენარე ხერხიანად იდგეს, ჰაერი, მზის სხივები, სინათლე საკმარისად ხვდებოდნენ, მცენარე ერთი-ერთმანეთს ზრდას არ უშლიდნენ ერთი-ერთმანეთს საკვებში არ ეცილებოდნენ, ერთი-ერთმანეთს არა სჩაგრავდნენ და თანაბარს პირობებში იმყოფებოდნენ. რომ ეს ასე მოხდეს, საჭიროა რიგზედ და თანაბრად დათესვა. მაგრამ დიდს მანძილზედ, ბევრს სათესში, როგორიც არის ხორბლეულობის თესვა და საზოგადოდ დიდს კულტურაში, ხელით ამ პირობების ასრულება შეუძლებელია. ამისთვის არის გამოგონილი სათესი ანუ მთესველი მანქანა, რომელიც სავსებით ასრულებს ზემოხსენებულს პირობებს და ამასთან მანქანით დათესილი ყანა ნებას იძლევა ცხენის თოხიც იხმარონ მარგვლის დროს. თოხი თავისუფლად უვლის კვალსა და კვალს შუა და ძირიანად აგდებს მავნე ბალახეულობას.

მთესველი მანქანაც გახშირებულია. უამისოდ ვერც საშუალოსა და ვერც დიდს ფერმას ვერ შეხვდებით, პატარათა შორის კი იშვიათია. ზოგიერთ ნაწილების შეცვლა და მომართვა ნებას იძლევა ყველა გვარ წვრილმარცვლეულობის თესვისას, პურისას, ჭვავისას, ქერისას, შვრიისას, ჭარხლისას, სიმინდისას, სამყურასი, და სხ. ათ საათში ამ მანქანას ორ ჰექტარის დათესვა თავისუფლად შეუძლიან.

მოსავლის საჭრელ მანქანებში უფრო გახშირებულია სათიბი და სამკელი მანქანები, რომლებიც, სხვა მანქანებთან შედარებით, თავიანთი სიმარტივით არ აფრთხობენ მეურნეს. 3) რაც შეეხება მკელ-შემკვრელს მანქანას, რომელიც პირველებზედ გაცილებით რთულია, საზოგადოდ მეურნე ერიდება და შეხვდებით მხოლოდ დიდის მეურნეების ხელში. არიან კიდევ ბევრი სხვა მანქანებიც ფერმის გარეთ სახმარებელი, მაგ. ცხენის ფოცხი, ნათიბის გადამბრუნებელი, მიწის პირის ამჩიჩქნელი და სხვა, მაგრამ ესენი ჯერ არ არიან გახშირებულნი და შეადგენენ მხოლოდ მცირეოდენის ხვედრს.

ლეწვითაც მანქანით ილეწება ყანა. ზოგიერთ დიდ ფერმების გარდა, გახშირებულია ყველა გვარ მეურნეთა შორის ერთგვარი მლეწავი

---

3) იმის და მიუხედავად, რომ ეს მანქანები ნამდვილად და დასრულებით შემუშავებულნი მხოლოდ 1855 წელს გამოვიდნენ და პრაქტიკაში სახმარებლად ცნობილ იქმნენ, 1882 წ. სტატისტიკით მთელს საფრანგეთში 19,147 მთიბველი და 16,025 კელი მანქანა იყო ხმარებაში, და დღეს,-მრასაკვირველია, უნდა ვიფიქროთ, შეცვლილი იქმნებიან ეს ციფირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველობა ჭკუის არისტოკრატიისა. ყოველივე შემოსავალი უნდა შეგროვდეს საერთო ბეღელში და საერთო კასაში. თითოეულმა სულმა უნდა მიიღოს თანასწორი მონაწილეობა კოლონიის საერთო სიმდიდრეში; ამ მხრივ არაფერი გარჩევა არ უნდა იქმნეს მმართველსა და არამმართველს შორის. არ უნდა იქმნენ გამორჩეულნი აგრეთვე ეგრედ წოდებული კვალიფიციური შრომის კაცები: ექიმები, აგრონომები, მასწავლებელი და სხ., რადგან მაშინ დარღვეულ იქმნება პრინციპი ერთობისა.

აქ არ შემიძლიან არ მივაქციო ყურადღება ერთს გარემოებას. რადგან ერთი სამზარეულო ექნება მთელს კოლონიას, ამიტომ შექამანდის მზადება მოითხოვს ერთობ ცოტა შრომას და განათავისუფლებს ქალებს მუდმივის ფაცა-ფუცისაგან. ამ თავისუფალს დროს ქალები მოახმარებენ ხელთ-საქმეს და სხვა საჭირო საქმეებს, რაც ძლიერ ხელს შეუწყობს კოლონიის წარმატებას. მაგრამ შეერთებულ შრომას ისეთი ჯადოსნური ძალა აქვს, რომ ძლიერ აადვილებს ყოველ საქმეს და თავისუფლებას აძლევს თვითოეულ მშრომელს. მაშასადამე, რაც უნდა აკეთონ, მაინც ბევრი თავისუფალი დრო დარჩებათ ქალებს, რომელსაც იგინი მოახმარებენ გონებრივ განვითარებას. და, საზოგადოდ, გონებრივი მხრით დიდი მნიშვნელობა ექმნება კოლონიას ყველა თავისს წევრებისათვის, როგორც დედა-კაცებისათვის, ისე მამაკაცებისათვის, და ამიტომ დიდი კულტურული გავლენა ექმნება გარეშე სოფლებზედ.

მაგრამ შეიძლება თქვას ვინმემ, რა საჭიროა წარმოდგენა იმგვარის პროექტისა, რომელსაც, ცხადია, არ მოელის განხორციელებაო?—ვინ იცის, მკითხველო, შეიძლება ჩვენშიაც გამოჩნდეს ქველმომქმედი, რომელსაც კარგი იდეალი ერჩიოს სიმდიდრეს, კაცთ-მოყვარეობა თავის-მოყვარეობას, საქმე ამაოებას და სახელი ფუჭ ცხოვრებას?

შეიძლება აგრეთვე გვისაყვედურონ ზოგიერთებმა: რად აცდენთ ხალხსაო, მთელი ჩვენი შრომა და მეცადინეობა ქალაქს უნდა მოხმარდესო, რად მიერეკებით თუნდ ათ ინტელიგენტს სოფელში და რად უბნევთ გზას ქართველ ქველ-მომქმედსაო; ქალაქია სული და გული ეხლანდელის ცხოვრებისა, ქალაქში უნდა გარდაწყდეს ყველა მსოფლიო საქმეებიო. ამაზედ ვუპასუხებ მათ, რომ ჩვენი ქალაქები არ არიან ის ცენტრები, სადაც უნდა გარდაწყდეს მსოფლიო საქმეები, და ჩვენ საკუთარ საქმეებში-კი ჩვენი ქალაქები ვერაფერს ვერ გაგვიკეთებენ უსოფლოდ. აიღეთ ინტელიგენტთა რიცხვი: ქალაქის მცხოვრები მეტი ათავებს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს თუ სოფლისა?—რასაკვირველია, სოფლისა. ვინ არიან ჩვენი საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწეები?—იგინი, ვინც სოფელში დაბადებულან, სოფლის შვილნი. რად არის ეს?—მიტომ, რომ სხვა-და-სხვა ეკონომიურ გარემოებათა გამო რიცხვი ქალაქის მცხოვრებთა ძლიერ მცირეა. მაშ, როგორ არ მივაქციოთ ყურადღება სოფელს, როდესაც ჩვენი ძალა სოფელშია?!.

ვ. წ.

რუსეთის ცხოვრება.

28 სექტემბერს პეტერბურგის ეკონომიურს საზოგადოებას სხდომა ჰქონია, რომელზედაც გარდაუწყვეტიათ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ სამუდამოდ და სრულიად მოსპობილ იქმნას „როზგით“ დასჯა რუსეთში.

ასტრახანის დრამატიულს ამხანაგობას გამოუცხადებია, რომ ყოველ კვირა დილას გამართული იქნება უფასო წარმოდგენები მოსწავლეთათვის.

საუცხოვო მაგალითია, სწორედ!

სავაჭრო და სამანუფაქტორო დეპარტამენტში ამ ჟამად სთარგმნიან უცხო ქვეყანათა კანონმდებლობას, რომელიც შეეხება სააქციონერო საზოგადოებათ. ეს მასალა გამოადგება კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ახალის სააქციონერო წესდების შედგენა.

საუფლის-წულო უწყებას, როგორც ამბობენ, განუზრახავს მალე დაწვრილებით გამოიკვლიოს საუფლის-წულო მეღვინეობის მდგომარეობა.

მომავალს წელს სხვა-და-სხვა ადგილებში გაიხსნება თვრამეტი დაბალი სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი. სასწავლებლები შეინახებიან ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯით, ხოლო ხაზინა მისცემს ათას ხუთას მანეთიდამ სამი-ათას-ხუთას მანეთამდე დახმარება თვითოეულ სასწავლებელზედ, რისთვისაც უკვე გადადებულია 43,750 მანეთი.

რვა ოქტომბერს ჩინეთში და კამჩატკის ნაპირებზედ მიემგზავრება ექსპედიცია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ზემოხსენებული ადგილები ეკონომიურად და ეტნოგრაფიულად. ექსპედიცია იგზავნება საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების განკარგულებით და დაჰყოფს მგზავრობაში ორს წელს.

გაზეთების სიტყვით, გზათა უწყების სამინისტრომ მოისურვა, რათა რკინის გზის უფროსებათ ინიშნებოდნენ იმისთანა პირნი, რომელნიც ყოველ მხრივ იყვნენ მომზადებულნი თავისს თანამდებობის აღსრულებისათვის. განზრახვა აქვთ აგრეთვე რკინის გზის უფროსობა მისცენ იმ პირთ, რომელთაც გარდა თავის სპეციალურის ხელობისა იციან აგრეთვე კომერციაც.

უცხოეთი

საფრანგეთი: ვინ დაინიშნება პასტერის ინსტიტუტის დირექტორად პასტერის მაგიერ—ჯერ არ არის გარდაწყვეტილი. დირექტორის ამორჩევა დამოკიდებულია ინსტიტუტის საბჭოსაგან, რომელიც 11 საპატიო პირისაგან შესდგება. ეს საბჭო მოახდენს კრებას მაშინვე, როგორც-კი დაეკითხება პასტერის ქვრივს და პასტერის სიძეს—ვალერი რადოს, რომელნიც ახლა პარისში არ არიან და რომელთა აზრი პასტერის მოადგილეს ამორჩევის შესახებ საბჭოს ჰსურს იცოდეს.

იტალია. ადენიდგან ცნობა მოვიდა, რომ ნეგუსი მენელიკი დიდის ჯარით მიდის ტემბიენისაკენ. ასე რომ იტალიასა და აბესინიას შუა ომი აუცილებელია.

ინგლისი. როგორც სჩანს, ინგლისის სამღვდელოებასაც ჰსურს ისარგებლოს კონსერვატორთა გამარჯვებით. სამღვდელოება ამბობს, რომ რადგანაც ჩვენ ძალიან დავეხმარეთ კონსერვატორთ ლიბერალებთან ბრძოლაში, ჯილდო გვერგებაო. ჯილდოთ-კი სამღვდელოებას უნდა საეკლესიო გავლენის გაძლიერება სახალხო სკოლებში. ამის გამო სამღვდელოებამ უკვე რამდენიმე კრებაც მოახდინა. კლერიკალთა ეს ახალი მიმართულება ინგლისის საზოგადოებას არაფრად მოსწონს და აღელვებს.

საბერძნეთი. მინისტრთა საბჭომ მიიღო ტრაპიზონიდგან ცნობა, რომ იქ, არეულობის დროს, რამდენიმე ბერძენიც მოუკლავთ. ამიტომ მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ჯერ-ჯერობით, სანამ ოსმალეთში მშვიდობიანობა არ დამყარდება, ის ჯარის-კაცნი, რომელნიც ვადის დასრულების გამო 1-ს ნოემბერს სამსახურიდგან დათხოვნილ უნდა ყოფილიყვნენ, აღარ დაითხოვონ.

ჩინეთი. ინგლისურ გაზეთების სიტყვით, ჩინეთის შიდა პროვინციებშიაც, ისე როგორც სამხრეთ ჩინეთში, ვრცელდება მრავალი პროკლამაციები ქრისტეანთა წინააღმდეგ. ხალხი აღელვებულია და შიშობენ, რომ იქაც არ მოხდეს ქრისტეანთა ამოჟლეტა.

ოსმალეთი. გასულ კვირის დასაწყისში საქმეთა მდგომარეობა კონსტანტინოპოლს ცოტათი გაუმჯობესდა: ქუჩებში არეულობა და უწესოება აღარ მომხდარა, მაგრამ მცხოვრებნი მაინც შიშში არიან ჯერ; ფიქრობენ, რომ ფანატიკოსთა შთაგონებით და მეცადინეობით ოსმალნი ქრისტეანთ ამოწყვეტას დაიწყებენო. ამ დღეებში სტამბოლში პროკლამაციები იყო გაკრული, რომლითაც ხალხს იწვევდნენ „ურწმუნოთა“ ამოსაწყვეტად. მთავრობა ძალიან ცდილობს წესიერების დაცვას და იმედიც აქვს ამისი.

სერბია. სერბიაში განუზრახავთ ჯარს ახალი იარაღი დაურიგონ, ეს ეღირება სულ 10 მილიონი დინარი. ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, რომ სერბიის მთავრობა ისპანიაში ასი-ათას თოფსა სყიდულობსო. მაგრამ ამ ხმებს გაზ. „სერბიის ზასტ“ საეჭვოდ სთვლის.

გერმანია. საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, რომ გერმანიაში კვლავ გაჰყავთ ახალი არხი, რომელსაც სტრატეგიულად უფრო მეტი მნიშვნელობა ექმნება, ვიდრე კილის არხს. ეს არხი შეაერთებს ორს მდინარეს ელბას და რეინს. ამ არხზედ, როგორც გამოანგარიშებულია, დაიხარჯება 200 მილიონი მარკა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

მართალია თვით კონსტანტინოპოლში უკვე მშვიდობიანობა ჩამოვარდა იქ მომხდარ სომეხთა უწესოების შემდეგ, მაგრამ არ დამშვიდებულან ოსმალეთის პროვინციები; ამ საგნის შესახებ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში აი, როგორი დეპეშაა 24 სექტემბერიდგან დაბეჭდილი:

> მცირე აზიის ჩრდილო ნაწილებიდგან სერიოზული ამბები ისმის. ტრაპიზონში ოსმალოთ ქრისტეანებს დაუწყეს ხოცვა. რადგანაც ადგილობრივ მდგომარე ჯარი თავისის სიმცირისა გამო ვერას გააწყობდა, ამიტომ იგი იძულებული შეიქმნა მხოლოდ უტყვი მოწმე ყოფილიყო ამ საქმისა და არავითარი მონაწილეობა არ მიეღო. ოსმალონი ყველგან საშინლად აღელვებულნი არიან. ძალადობას არც უცხოელნი ასცდნენ. ორს იტალიელს ცხვირი და ყურები დასჭრეს; ვიღაც ფრანგს მოგზაურებს საშინლად სცემეს

მანქანა, რომლის გამოგონება ეკუთვნის ამ საუკუნის დასაწყისს. ესეც, როგორც ყოველი სახალხო მანქანა, არ არის რთული. გარდა ჩარხებისა, რომელთა რიცხვიც ძალიან მცირეა, დანარჩენი ნაწილები ხისაა. გამართულია იგი საბძელში ან განსაკუთრებით მისთვის შენობაში, რისთვისაც მეურნეს არც ავდრობისა და არც ლეწვის უდროობისა არ ეშინიან. მოძრაობაში მოსაყვანად საკმარისია ერთი ცხენი და ლეწს დღეში სამას კონამდის. თვითონვე ანიავებს და დასაცხავი ხორბალი-ღა ჩამოდის. დაცხრილვაც, რასაკვირველია, ისევ მანქანით სრულდება, რომელიც სრულებით ასუფთავებს უცხო თესლისგან. აქედგან ცხადია, რომ რაკი მარცვალი ნიადაგს (მიწას) არ ეკარება, ქვიშას, მიწას და სხვა უსუფთაობასაც ხავსი აცილებული იქმნება, რაც, რასაკვირველია, ბაზარში ადგილს აძლევს.

როგორც ვხედავთ, მთლად მინდვრის საქმე თითქმის მანქანის შემწეობით კეთებულა, მაგრამ არის მისთანა დრო და ადგილი, რომ მანქანას არ შეუძლიან ზოგიერთ საქმის გაკეთება; აქ ისევ ხელი და ხელის იარაღია მისი შემწე. მაგრამ ამ ხელის იარაღსაც აქ თავისი წარმატება ჰქონია. მაგალითად, სხვა იარაღთა შორის უფრო ცელია საყურადღებო. *) იგი აღარ წარმოადგენს მხოლოდ ცელის პირს და უბრალო ტარს. ტარი იმ გვარად მოუწყვიათ, რომ შეღავათს აძლევს მის მხმარებელს და მალე არ ჰღალავს და რომ დროც და საქმეც მოეგოთ, ცელისთვის მიუკეთებიათ ერთგვარი ფოცხი. ამ ფოცხის შემწეობით არც ნათიბი იბნევა და ნამხრეებსაც იმ გვარად აწვენს, რომ მკონავს შეკონვის მეტი არა რჩება-რა. და თავთავიც ძირს თითქმის არა რჩება რა. ამ ფოცხის კბილები რიცხვით ან ორი ან სამია, ან ხისა, ან (რკინის) მავთულისა. ესენი არიან მიმაგრებულნი ტარზედ, პარალელურად ცელის პირთან და სიგრძითაც მის სიგრძე აქვთ და ამ რიგად წარმოადგენენ სამ-ოთხ პირიან ცელს.

რაც შეეხება მუშა ხელს, იგი სამნაირია: წლიური და თვიური მოჯამაგირე და დღიური მუშა. პირველ ორზედ რომ არა ვთქვათ -ა, დღიური მუშა წარმოადგენს ბედისაგან დაჩაგრულს, უსახლ-კარო, უსაკუთრებო, უზომო-უდროოდ დაბერებულს, სხვა-და სხვა სენისაგან დაუძლურებულს და დაავადმყოფებულს ბრბოს—ორივ სქესისას. ნამდვილადკი რომ გამოხატოს მათი ხასიათი, ესენი არიან—ნაძირალა, ნარჩენი ქალაქის მუშათა. მეფაბრიკეებისაგან და მექარხნეებისაგან უართქმულები, ბაზარზედ დაწუნებულნი, ახალ-შემატებულ, ღონიერისა, ნორჩ და ჯან-საღ ხელების კონკურენციით უკან დატოვებულნი. ასე ამ რიგად რიყეზედ უნუგეშოდ დაყრილნი მისგან, ვისაც, სულის გარდა, ყოველისფერი შესწირეს; ახლა გამოსულან—უფრო-კი დაბრუნებულან ისევ სოფლად, უკანასკნელ ლუკმისათვის საბრძოლად. მუშა ხელით გაჭირვებულს მეურნესაც სიხარულით მიუღია და ამუშავებს იქ, სადაც არც მოაზრება, არც ფიქრი, არც დიდი ცოდნა და არც დიდი ფიზიკური ძალა არ ესაჭიროება. „სწორედ საამითოაო“, უთქვამს და დაუყენებია კართოფილის, ჭარხლის ამომღებლად, მმარგვლელად, მთოხნელად და სხ. ამგვარ სამეურნეო მსუბუქ საქმეებზედ. ჭეშმარიტად, სამწუხარო სურათს წარმოადგენს ეს ბრბო დღიურ მუშათა, როდესაც მინდვრად არიან გასულნი. ბევრიც რომ ეცადოთ, 50—80 მუშაში ერთს ვერ იპოვნით საღს, ჯანმრთელს; და თუ შეგხვდათ, ეს უსათუოდ შემთხვევით—ერთის დღისთვის მოსულა და ისიც თითქოს თავს უხერხულად გრძნობს და მედიდურად გამოიყურება. ჯანსაღი და ახალგაზდა მუშა თავისს ძალღონისათვის ღირსად არ სთვლის მინდვრად მუშაობისას, ქალაქისკენ, მის ფაბრიკებისკენ, მიიწევს. იმ მინდვრის საქმეებისთვის-კი, სადაც ცოტა არ იყვეს, ცოდნაც, აზროვნებაც, ხერხიანობაც და ფიზიკური ძალაც მოითხოვება, როგორიც არის გუთნის დედობა, სხვა-და-სხვა მანქანების მართვა-გამგეობა, მეურმეობა, ცელვა და სხვა ამისთვის არიან წლიური და თვიური მოჯამაგირეები, ჯერ კიდევ ფიზიკურად საღი და გონებით ფხიზელი მუშები, რომლების შრომაც პირველებთან შედარებით მეტად ფასდება. მაგრამ ხანდისხან ზოგიერთ ფაბრიკებისაგან უკეთესად დაჯილდოება, ქალაქის ხერხიანი ცხოვრება, მისი სიამოვნეები, მისი სხვა-და-სხვა დამხმარებელი საზოგადოებების არსებობა სხვა-და-სხვა გაჭირვებებისთვის, ეს ყოველისფერი ერთად იზიდავენ ამათაც და ამ საუკეთესო მეურნეობის შემწესაც თავისკენ და ამით ეცილებიან მეურნეს, რითაც აიხსნება ნამდვილ მინდვრის მუშის დაძვირება. იმის და მიუხედავად, რომ თვიურს მოჯამაგირეს გარდა გამოკვებისა დღეში 3 ფარანკი და ამაზედ მეტი აქვს, მის მიხედვით, თუ რის მცოდნეა. მკა-თიბვის დროს-კი ზოგი მთიბავი 5—8 ფრანკამდის იღებს, მაშინ, როდესაც დღიურს მუშას-კი დღეში $1^1/_2$ ფ.—$2^2/_1$ ფრანკამდის აქვს, რითაც მან ყოველი თავისი მოთხოვნილებანი უნდა დაიკმაყოფილოს.

ნ. ა—ლი.

ქ. ბონი.

(შემდეგი იქნება.)

---

*) საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ აქ ყველა ხორბლეულობა დაბლა იცელება და ამიტომ ცელია დიდს ხმარებაში.

და ქვეშითა საცვლის ამარა დასტოვეს. საყურადღებოა ის, რომ ხალხი ეხლა იმას-კი აღარ ყვირის „შორს ჩვენგან სომხებიო!“, არამედ—«შორს ჩვენგან გიაურებიო!». სახელმწიფოთა მხრივ ერთხმივის წინააღმდეგობისა გამო ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთ მიწერილობა წარუგზავნეს მოლებს ჯამეებიდგან გარეთ არ გამოვიდნენ. ყველაზედ ცუდი და საშიში ის არის, რომ ხალხი მეტისმეტად აღელვებულია, თავს ესხმიან სამრეწველო და სამეურნეო წარმოების შენობებსა და შეუბრალებლად სცემენ მუშებს.

„დეილი ნიუზ“-შია დაბეჭდილი ტექსტი იმ მოხსენებისა, რომელიც სომხებს უნდა მიერთმიათ დიდის ვეზირისათვის. ამ მოხსენების ზარათ

აზრად ჰქონია ეცნობებია მთელის ქვეყნისთვის, რომ სომხებს ამაზედ მეტის ძალადობის მოთმენა აღარ შეუძლიანთ, რასაც დღეს ითმენენ. ისინი თხოულობენ სიცოცხლისა, ქონებისა და სინიდისისა, ბეჭდვისა და ყრილობის თავისუფლების დაცვას, თხოულობენ ააშორონ ის ბოროტ-მოქმედებანი, რომელთაც ადმინისტრაცია ხმარობს, ითხოვენ საპოლიტიკო დამნაშავეთა ამნისტიასა და იმას, რომ ნება არ ჰქონდეთ ოსმალეთის მუდამ ერთის ადგილიდგან მეორეში მოწანწალე ტომებს სომხებში დასახლდნენ ხოლმე. დასასრულ მოხსენებაში გამოთქმულია იმედი, რომ სახელმწიფონი, რომელთაც ბერლინის ხელ-შეკრულობაზედ ხელი უწერიათ, უთუოდ ეცდებიან სომხების საქმე როგორმე გარდასწყვიტონ.

—

ამ ბოლო დროს ოსმალეთის სამინისტროში მომხდარ ცვლილების მახლობელ მიზეზისა, ანუ იმის შესახებ, რომ დიდი ვეზირი საიდ-ფაშა თვისის თანამდებობიდგან გადააყენეს, აი, რას იუწყებიან:

სულთანმა საიდ-ფაშას რაღაცა საბუთის ქაღალდი მოსთხოვა, და საიდ-ფაშამკი თვითონ საბუთის ქაღალდის ნაცვლად კოპიო წარუდგინა. მაშინ სულთანმა მოითხოვა, რომ უთუოდ დედანი ეჩვენებინათ, მაგრამ საიდ-ფაშამ შენიშნა ამაზედ, რომ ერთხელ დადგენილის წესით ის საბუთის ქაღალდების დედნები, რომლებიცკი დიდს პორტას მოსდის, არავის არ ეძლევათ სანახავადაო. საქმე თითქოს ამითი გათავდა. ამავე დღეს სასახლეში სადილი იყო გამართული ამ ჟამად იქ მყოფის შლეზვიგის ჰერცოგის პატივ-საცემლად და ყველამ შენიშნა, რომ სულთანი ძალიან თავაზიანად ეპყრობდა და გულიანად ელაპარაკებოდა დიდს ვეზირს. ამიტომ საიდ-ფაშას ეჭვი არაფრისა ჰქონდა და საშინლად გაჰკვირდა, როდესაც შუაღამისას მასთან მივიდა ფადი-შაჰის ადიუტანტი და სახელმწიფო ბეჭედი მოსთხოვა.

რა მოხდა შემდეგ—ეს აღარავინ იცის, მაგრამ ორის დღის შემდეგ-კი სულთანმა გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი საიდ-ფაშას ჩააბარა. როგორც დეპეშით აუწყებენ პარისის გაზეთებს,

ამ ახალს თანამდებობაზედ საიდ-ფაშის დანიშვნით სულთანს ჰსურს ევროპის თანაგრძნობა მოიპოვოსო. საიდ-ფაშა ცნობილია, როგორც რეფორმების მომხრე; მას თვითონ რამდენჯერმე უთქვამს წინად, რომ დღევანდელი უწესოება მოსალოდნელი იყო, მაგრამ მუდამ სხვები უშლიდნენ ხელსაო. ის გარემოება, რომ სულთანმა საიდ-ფაშის თანამდებობა ქიამილ-ფაშას მისცა, ხოლო არც საიდ-ფაშას განურისხდა სრულიად, ამტკიცებს, რომ სულთანი უწონებს საიდ-ფაშას მისს პოლიტიკას, მაგრამ მისის აზრით ქიამილ-ფაშა უკეთესად განახორციელებს საქმით ამ პოლიტიკას.

◆

უცხოეთის წვრილი ამბები.

—

დამოუკიდებელი სახელმწიფო ტავოლარა სძევს ამავე სახელის კუნძულზედ. მცხოვრებთა რიცხვი ას-სამოც-და-რვაა. 1833 წელს მეფე კარლ-ალბერტმა სახელმწიფოს მმართველობა დაუთმო ბარტოლონების გვარს. ამ გვარიდგან გამეფდა პავლე პირველი და ჰმართა სახელმწიფო ოც-და-ათი წელიწადი. რაც უნდა პატარა სახელმწიფო იყოს, პროგრესი უეჭველად იქაც თავისას გაიყვანს. როცა პავლე პირველი მოკვდა, ქვეშევრდომთ მისი მემკვიდრე მეფედ აღარ ინდომეს და რესპუბლიკად აღიარეს თავისი სახელმწიფო. შემოიღეს კონსტიტუციური მმართველობა. ეს მოხდა 1882 წელს. ახალმა რესპუბლიკამ იტალიაში დეპუტაცია გაგზავნა მმართველობის წეს-რიგის შეცვლის შესატყობინებლად.

იტალიამ წინააღმდეგობა არ გაუწია და დღეს ტავოლარა განაგრძობს რესპუბლიკურს მმართველობას. პრეზიდენტს ირჩევენ ათის წლით. მმართველობაში ხმა ეძლევათ ქალებსაც.

—

*განსვენებული პასტერი საშინელი გულმავიწყე იყო. ერთხელ დიდი ბაქტერიოლოგი თავისს სიძესთან იყო სტუმრად ბურგონიაში. ის იყო სადილს ათავებდნენ, რომ სუფრაზედ მოიტანეს ალუბალი. ალუბალი მართლაც საუცხოვო რამ იყო. სუფრაზედ მსხდომთ ქალთა და კაცთ ალუბალს დაუწყეს ჭამა, მხოლოდ პასტერი ჯერ რეცხდა ალუბალს მის წინ მდგომარე წყლით სავსე ჭიქაში, შემდეგ დიდის სიფრთხილით სინჯავდა ხოლმე ყველა მხრიდგან და შემდეგ-და სჭამდა. მისმა სიძემ ვეღარ მოითმინა და გაეცინა. პასტერმა შენიშნა ეს და ამის გამო მთელი ლექცია წაუკითხა იქ მყოფთ, თუ რამდენი ბაცილა ჰფარავს ალუბლის ქერქს: „როგორც ჰხედავთ, დიდი სიფრთხილე გმართებთ ამიტომაო, შენიშნა პასტერმა;“ შემდეგ ალუბლის ნარეცხ ჭიქას ხელი წამოავლო და უცბად დალია ის წყალი, სადაც იმდენი ბაცილა ჩაარჩო.

◆

თეატრის მატიანე.

—

სამშაბათს, 3 ოქტომბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში ქბ. სოკოლოვსკაიას მეორე დებიუტისათვის წარმოდგენილ იქმნა დარგომიჟსკის ოთხ-მოქმედებიანი ოპერა „რუსალკა“. ქბ. სოკოლოვსკაია ნატაშას როლში კარგი იყო, როგორც მომღერალი, ხოლო როგორც მოთამაშე სუსტი; მაგალითად სცენა, როდესაც ნატაშა წყალში ირჩობს თავს, მეტად სუსტად დაგვიხატა არტისტმა ქალმა. არც ხმა გვეჩვენა ისე მძლავრად, როგორც „აიდაში“, ალბად იმიტომ, რომ „რუსალკაში“ უმთავრესად შუა რეგისტრია; ქბ. სოკოლოვსკაიას-კი მაღალი რეგისტრი უფრო ეხერხება. საუცხოვო იყო ბ. ოსტროვიდოვი მეწისქვილის როლში; მესამე მოქმედებაში, სადაც მეწისქვილე ჭკუაზედ შეცდარია, ბ. ოსტროვიდოვმა დაგვიმტკიცა, რომ ის მშვენიერი არტისტია. მეტად კარგები იყვნენ აგრეთვე ქბ. შუბინისა (კნეინა) და კუროჩკინა—ლიდინა (ოლგა), რომელთ საუცხოვო თამაშმა და სიმღერამ მესამე მოქმედება მეტად გაამშვენიერეს. ქბ. შუბინას მშვენიერი კონტრალტო აქვს და მისი შუა და დაბალი რეგისტრი, რასაკვირველია, ბევრად სჯობია მეტად ბოხს კონტრალტოს ქბ. ვიქტოროვისას. სუსტი იყო ამ ოპერაში ბ. დევიკლერი თავადის როლში. ის იმდენად სუსტი იყო, რომ ხანდისხან თავისს კილოსაც ვერ მიაგნებდა, ტონს ასცდებოდა ხოლმე. ცნობილი არია: «Невольно къ этимъ грустнымъ берегамъ“ ისე უგულოდ და უფერულად ჩაატარა, რომ ტაშის კვრაც არ გამოუწვევია, მაშინ როდესაც ამ არიას ცოტათი გვარიანს მომღერალს ორჯელ, სამჯერ გაამეორებინებენ ხოლმე. მიუხედავად ბ-ნ დევიკლერის სუსტობისა, საზოგადოდ „რუსალკამ“ კარგად ჩაიარა და მრავალი დამსწრე საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ოქტომბერი.

პეტერბურგი. ,,პრავიტ. ვესტნ‘‘-ში დაბეჭდილია: ხმა, ვითომც მომავალ წლიდგან ბერძნული ენა გამორიცხული იქმნება სასწავლებელთა პროგრამიდგან, სრულიად ტყუილია; საერო განათლების სამინისტრო არ სცნობს საჭიროდ ძირითადი რეფორმა მოახდინოს ახლანდელს სასწავლებელთა ტიპის შეცვლისათვის; სამინისტრო ცდილობს მხოლოდ გააუმჯობესოს ახლანდელი ტიპი სხვა-და-სხვა სასწავლებლისა და დააკმაყოფილოს განათლების მსურველნი ახალის სასწავლებლების დაარსებით.

ვლადივოსტოკიდგან ,,ნოვ. ვრ“-ს დეპეშით ატყობინებენ: პეკინიდგან ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ პროვინციებში მონგოლთა აჯანყება დღითი-დღე ძლიერდებაო. ნამეტურ დიდი არეულობაა კანსუს პროვინციაში, საითკენაც მთავრობამ 25 ბატალიონი ჯარი გაგზავნა. იმპერატორის ბრძანებით კანსუს მიდის ლი-ხუნ-ჩანგი მთავარ კომისარის უფლებით.

მასსოვა. გენერალი ბარატიერი იტყობინება ანტალოდგან, რომ მანგაშის ჯარი გაფანტულ იქმნა. მანგაში რამდენიმე მხლებელით მთებში გაიქცა. სამი ბატალიონი იტალიის ჯარისა ზარბაზნებით გაიგზავნა აბესინელთ წინააღმდეგ.

ბათუმი. ახალგაზდა სომეხი შევარდა ოსმალელთ ჯამეში და გინება დაიწყო; ოსმალელებმა სომეხი შეიპყრეს და პოლიციას გარდასცეს. ტრაპიზონსა და ბათუმს შუა მიმოსვლა შესწყდა. ხმა არის, რომ ტრაპიზონის აჯანყების დროს 1000 კაცამდეა მოკლული. ტრაპიზონის ახლო-მახლო სოფლებშიაც სომხების ჟლეტაა.

ბერლინი. «კელ.“ გაზეთს ატყობინებენ კონსტანტინოპოლიდგან, რომ ოსმალეთის მთავრობის ცნობილ ინგლისის გემებს „სფინკსს“ და „ბიჟონს„ ზარბაზნებით დაუნგრევიათ ოსმალეთის ქალაქი ზაბარა, რომელიც კათარის ნახევარ კუნძულზედ არის. ზაბარა ახლოა იმ კუნძულ ბარეინიდგან, რომელიც ინგლისს კარგა ხანია ჰსურს თავისს მფარველობაში იქონიოს. რამ გამოიწვია ინგლისის ეს მოქმედება, ჯერ არ იციან.

ქრისტიანია. ახალი კაბინეტი შესდგა.

4 ოქტომბერი.

პეტერბურგი. „სავაჭრო და სამრეწველო გაზეთი“ აცხადებს, რომ ბაქოში, მანთაშოვის ადგილში ნავთის შადრევანმა ამოხეთქა. დღეში 300,000 ფუთი ნავთი ამოდის.

„პრავიტ. ვესტნ.“-ის ჩელიაბინსკიდან სწერენ დეპეშით, რომ ომსკისა - ირტიშისა - კრივოშჩეკოვოსა - ობის რკინის გზა გაიხსნა და ხალხის გადაზიდვა დაიწყო.

პეტროზავოდსკი. სამაზრო საერო კრებამ განიხილა სავალდებულო სწავლის პროექტი და დაადგინა გახსნას 23 საერობო სკოლა, 26 სამრევლო და 25 წერა-კითხვისა.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. რუსეთის საელჩოში სადილი გაუმართეს თავ. ლობანოვ-როსტოვსკის.

ბუქარესტი. მეფემ უარი სთქვა პარლამენტის დათხოვნაზედ და ამიტომ კატარჯის კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა. შესდგა ლიბერალთა სამინისტრო დიმიტრი სტრუძის მეთაურობით.

კონსტანტინოპოლი. რუსეთის, საფრანგეთის და ინგლისის ელჩებს მოლაპარაკება ჰქონდათ საიდ-ფაშასთან. იმედი აქვთ შეთანხმდნენ მალე სომხებისთვის რეფორმების შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ოქტომბერს

	მყიდველისა.	გამყიდველის.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	7,40	7,40	— „
5°/o. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა	— „	— „	212½
4½°/o გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	99⅜	— „	— „
6°/o ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . .	101	— „	— „
5°/o იმავე ბანკისა. .	— „	100	— „
6°/o ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	101	— „	— „
5°/o იმავე ბანკისა .	— „	99½	— „
5°/o ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— „	99	— „

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ისტორია
მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა
ეკკლესიათა განყოფამდე.
გ. პ. პობედონოსცევისა
თარგმნილი
მღ. ი, ჯავაშვილის მიერ.
ფასი სამი აბაზი.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ზემოხსენებულს მღვდელს (ნიკ. ქუჩა, სახლი № 25) და „წერა-კითხვისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიას. (3—3).

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება . . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	„
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . .	„	70
მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე.		10
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი	1	50
წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა.	„	40
სამი ისტორიული ქრონიკა მისივე.	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . .	3	„
საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა	3	30
სამცხე მისივე	„	25
ქართლი მისივე	„	25
მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . .	„	40
მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე.	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	„	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
Ш вып. . . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же	„	50
Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же	3	„
Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . .	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его-же.	„	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . .		60
Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . .	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова.	3	„
Матеріалы для русской исторіи, его-же. . .	3	
Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе	2	50
Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т.	7	05

Дозволен цензоурою, Тифлисъ 4-го Октября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.